კონკურსის ჩატარების ახალ წესთან დაკავშირებული რეკომენდაციები

2015 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესი და პირობები“, რომელიც ახლებურად აწესრიგებს კონკურსის გამოცხადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ბრძანების ამოქმედების შემდეგ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ახალი წესის თანახმად, უკვე გამოცხადდა 10-ზე მეტი კონკურსი.

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო სისტემურად შეისწავლის და აანალიზებს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებულ მდგომარეობას, რაზე დაყრდნობითაც, შესყიდვების პროცესი გაუმჯობესების მიზნით, სააგენტო შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის ახორციელებს საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურებას.

წინამდებარე რეკომენდაცია ისახავს მიზნად, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ კონკურსის ჩატარების ახალი წესის საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსებში დაშვებული ტიპური შეცდომების თუ უზუსტობების თავიდან აცილებასა და შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის პრაქტიკული მითითებების მიცემას.

ტიპური შეცდომები/უზუსტობები და პრაქტიკული მითითებები	
1	კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, საკონკურსო წინადადების წარსადგენად, პრეტენდენტებს მოეთხოვებათ შესასრულებელი მომსახურების სრული ან დიდი მოცულობით გაწევა, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან ძალისხმევასა და დანახარჯს.
	საკონკურსო დოკუმენტაციით, ბუნებრივია, სრულად უნდა იქნეს აღწერილი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დადების შემდეგ გასაწევი მომსახურება, თუმცა ამ საკითხთა კონკურსის ჩატარების ეტაპზე სრულად მოთხოვნა უარყოფით გავლენას იქონიებს პრეტენდენტთა სურვილზე, მონაწილეობა მიიღონ კონკურსში. პრეტენდენტებს საკონკურსო წინადადების შესადგენად არ უნდა უწევდეთ გასაწევი მომსახურების სრული ან დიდი მოცულობით შესრულება. *<u>აქედან გამოდინარე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ იმ მოცულობით უნდა დააწესოს მოთხოვნები საკონკურსო წინადადებისადმი, რომ პრეტენდენტმა წარადგინოს შემდგომში გასაწევი მომსახურების იდეა, გადაწყვეტილება, ესკიზი, მონახაზი და ა.შ., ხოლო შემსყიდველმა ორგანიზაციამ საკონკურსო წინადადებისა და პრეტენდენტის კვალიფიკაციის შეფასება.</u>*
2	კონკურსში მოთხოვნილია ზედმეტი ან ტექნიკურ დავალებასთან ნაკლებად დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმები.
	იმ შემთხვევაში, თუ შეფასების კრიტერიუმები არ არის დაკავშირებული შესყიდვის ობიექტთან და ტექნიკურ დავალებასთან, მაშინ პრეტენდენტს გაუჭირდება მოთხოვნების

	შესაბამისი საკონკურსო წინადადების წარდგენა, ხოლო შემსყიდველ ორგანიზაციას – საკონკურსო წინადადებების შეფასება. *<u>აქედან გამომდინარე, ყოველი შეფასების კრიტერიუმი საჭიროა, პირდაპირ იყოს დაკავშირებული შესყიდვის ობიექტთან და ტექნიკურ დავალებასთან.</u>*
3	მოითხოვება საკონკურსო წინადადების ფასის დღგ-ის ჩათვლით წარდგენა. *<u>ახალი გრძანების თანახმად, პრეტენდენტი საკონკურსო წინადადებას წარადგენს დღგ-ის გარეშე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების მომენტისთვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არის დღგ-ის გადამხდელი, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, ხელშეკრულების ღირებულებაში გაითვალისწინოს საკონკურსო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა.</u>*
4	შემსყიდველი ორგანიზაცია სისტემაში არ ტვირთავს საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმს (როგორც წესი, №1 სხდომის ოქმი). *<u>საკონკურსო განცხადების სისტემაში განთავსებისთვის აუცილებელია სისტემაში საკონკურსო დოკუმენტაციის, აგრეთვე საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის ატვირთვა.</u>*
5	კონკურსში დასაბუთების გარეშე მოითხოვება საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა. *<u>როგორც წესი, კონკურსში არ მოითხოვება საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა, თუმცა საკონკურსო დოკუმენტაცია, კონკრეტული შესყიდვის თავისებურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შეიცავდეს პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნას, რაც შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა დაასაბუთოს.</u>*
6	საკონკურსო დოკუმენტაცია არ შეიცავს მოთხოვნას, საჭიროა თუ არა საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშების წარმოდგენა. *<u>საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს დათქმას, საჭიროა თუ არა საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშების წარდგენა. თუ გაანგარიშება მოითხოვება, მაშინ საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს მეთოდებს, რომლებითაც უნდა იყოს გაანგარიშებული საკონკურსო წინადადების ფასი, იმის მითითებით, უნდა შეიცავდეს თუ არა იგი მომსახურების ღირებულების გარდა სხვა ხარჯებსაც.</u>* *<u>მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშება მოეთხოვება საუკეთესო საკონკურსო წინადადების მქონე პრეტენდენტს.</u>*
7	საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ პრეტენდენტს უფლება აქვს, ხელშეკრულების დასადებად მოწვევამდე უარი თქვას საკონკურსო წინადადებაზე, თუმცა არ არის აღნიშნული უარის თქმის თანმდევი შედეგი. *საკონკურსო წინადადებაზე უარის თქმა იწვევს პრეტენდენტის მიერ შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობის ელექტრონული გარანტიის დაკარგვას.*

	იმ შემთხვევაში, თუ საკონკურსო დოკუმენტაცია შეიცავს მითითებას პრეტენდენტის უფლებაზე, უარი თქვას საკონკურსო წინადადებაზე, მაშინ აგრეთვე დაკონკრეტებული უნდა იყოს უარის თქმის თანმდევი შედეგიც.